საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

**2017 წლის 31 მაისის №26 სხდომის**

**d a d g e n i l e b a №1**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს **2017** წლის 31 მაისის №26 სხდომაზე ქ-ნმა ნინო ხოლუაშვილმა წარმოადგინა საკითხი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სისტემაში არსებული ზოგიერთი დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის, ინსტიტუტის/ცენტრის სტატუსის განსაზღვრის შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 8 მაისის დადგენილება №2410.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სისტემაში არსებულ ქვემოთ ჩამოთვლილ დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, ინსტიტუტებს/ცენტრებს განესაზღვროთ საუნივერსიტეტო დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსი და დაფუძნდნენ:

1.1. ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტი;

1.2. ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი;

1.3. ვლ. ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტი;

1.4. არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტი;

1.5. კვების მრეწველობის ინსტიტუტი;

1.6. მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტი;

1.7. წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი;

1.8. ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტს შეუერთდეს გეოეკოლოგიური მონიტორინგის განყოფილება;

1.9. ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი;

1.10. ინსტიტუტი „ტალღა“;

1.11. საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი;

1.12. ინსტიტუტი ტექინფორმი;

1.13. ბიოტექნოლოგიების ცენტრი;

1.14. კვანტური ფიზიკის ინსტიტუტი.

2. დამტკიცდეს ამ დადგენილების პირველი პუნქტის შესაბამისად დაფუძნებული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების, ინსტიტუტები/ცენტრების დებულებები;

3. ამ დადგენილების პირველი პუნქტის შესაბამისად დაფუძნებული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული, ინსტიტუტი/ცენტრი ჩაითვალოს შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ცენტრის) უფლებამონაცვლედ.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

**2017 წლის 31 მაისის №26 სხდომის**

**d a d g e n i l e b a №2**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს **2017** წლის 31 მაისის №26 სხდომაზე სტუ-ის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანმა, პროფ. ანზორ აბშილავამ წარმოადგინა საკითხი ემერიტუსის აკადემიური წოდების მქონე კანდიდატისათვის სარგოს რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 8 მაისის დადგენილება №2406.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: სტუ-ის ემერიტუსის აკადემიური წოდების მქონე სტუ-ის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ასოც. პროფესორ ირინე ფარადაშვილს სარგოს რაოდენობა განესაზღვროს 60%-ით.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

**2017 წლის 31 მაისის №26 სხდომის**

**d a d g e n i l e b a №3**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს **2017** წლის 31 მაისის №26 სხდომაზე სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანმა, პროფ. ზურაბ წვერაიძემ წარმოადგინა საკითხი ემერიტუსის აკადემიური წოდების მქონე კანდიდატისათვის სარგოს რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 21 აპრილის დადგენილება №2380.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: სტუ-ის ემერიტუსის აკადემიური წოდების მქონე სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორ გიორგი გოგიჩაიშვილს სარგოს რაოდენობა განესაზღვროს 100% -ით.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

**2017** წლის 31 მაისის №26 სხდომის

## d a d g e n i l e b a №4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს **2017** წლის 31 მაისის №26 სხდომაზე პროფ. დავით ნოზაძემ წარმოადგინა საკითხი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან თვითდაფინანსებითი ინოვაციური ტექნოლოგიებისა და პრეპარატების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 მარტის დადგენილება №2360.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. შეეცვალოს სახელწოდება ზემოხსენებულ ცენტრს და ეწოდოს ,,ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის ცენტრი“;
2. ზემოაღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით დამტკიცდეს ცენტრის შექმნა და მისი დებულება.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე